



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

დამოუკიდებულება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საქართველოში: ფართო საზოგადოების, იურისტების და ბიზნეს ლიდერების შეფასება

მაისი, 2014



ეს კვლევა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი დახმარებით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია კავკასიის კვლევის რესურს ცენტრი-საქართველო და ის არ ასახავს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს.

შინაარსი

1. შესავალი	2
2. საზოგადოება: ნდობა, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და სასამართლოების ცოდნა.....	5
ნდობა.....	5
დამოუკიდებლობა	10
სამართლიანობა.....	14
ინფორმირებულობა და შეხედულებები მართლმსაჯულების და იურისპრუდენციის შესახებ	18
3. იურისტები იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული მომსახურების პროვაიდერების და იურიდიული განათლების შესახებ ...	24
ცნობადობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:	24
საქმიანობის შეფასება: იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, იურიდიული მომსახურების პროვაიდერები და იურიდიული განათლება	27
4. ბიზნეს ლიდერები სასამართლოების, დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების და სავაჭრო სამართლის შესახებ	39
5. დასკვნა.....	47
დანართი 1 – ცხრილები	50
დანართი 2 – მეთოდოლოგია	90
დანართი 3 –CRRC-საქართველოს შესახებ.....	92

1. შესავალი

2011 და 2012 წლებში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის ფარგლებში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა ჩაატარა კვლევა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ფართო საზოგადოების, იურისტებისა და ბიზნეს ლიდერების დამოკიდებულების შესაფასებლად. მას შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა. 2012 წლის ოქტომბერში ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელმაც მანამდე პოლიტიკურად დამოკიდებული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პირობა დადო. სასჯელაღსრულების სისტემაში წამების შემთხვევები, ელიტური კორუფციის და პოლიციის მხრიდან უკანონო თვალთვალის ფაქტები გამოვლინდა მას შემდეგ, რაც საწყისი ანგარიშები უკვე შედგენილი იყო.

2011 წლის მონაცემები აჩვენებდა, რომ ქართული საზოგადოება არ ენდობოდა მართლმსაჯულების სისტემას. 2014 წლის კვლევის მიზანია 2011 და 2012 წლების ანგარიშების მონაცემების შედარება 2014 წელს ჩატარებულ კვლევასთან. ისევე როგორც 2011 და 2012 წელს, მართლმსაჯულების მიმართ ფართო საზოგადოების დამოკიდებულებასთან ერთად (მათ შორის მათ დამოკიდებულებასთან, ვისაც სასამართლოსთან შეხება ჰქონია) ანგარიშში გაანალიზებული იქნება იურისტების მოსაზრებები სამართლებრივი ინსტიტუტების შესახებ და ბიზნესის წარმომადგენლების მოსაზრებები სამეწარმეო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ანგარიშში წარმოდგენილი ფაქტები ქართული საზოგადოების შესახებ ემყარება წარმომადგენლობით გამოკითხვებს ქვეყნის მასშტაბით, რომელიც განხორციელდა 2011 და 2014 წლებში. ეს გამოკითხვები ყურადღებას ამახვილებს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პრობლემაზე. ეს ანგარიში ასევე ემყარება ფართო საზოგადოების, სასამართლოს მომხმარებლებისა და იურისტებისგან შემდგარ ფოკუს

ჯგუფებს. აღნიშნული ფოკუს ჯგუფები ჩატარდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ამასთან, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა იურისტებთან და ბიზნეს ლიდერებთან. რესპონდენტებს დაუსვეს კითხვები მთელ რიგ საკითხებზე და სამართლებრივ და სამთავრობო ინსტიტუტებზე. აღნიშნული საკითხები გაანალიზდა და შევიდა ანგარიშში. იურისტები და ბიზნესმენები თვისებრივი ინტერვიუების გარდა, გამოკითხეს სპეციალურად შედგენილი რაოდენობრივი კითხვარით. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფისა და ინტერვიუს კითხვები იგივე იყო, რაც 2012 წელს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო შედარების გაკეთება.

იურისტებს შეკითხვებს უსვამდნენ კონკრეტული ინსტიტუტების, მათ შორის: იუსტიციის უმაღლესი სკოლის (HSOJ), საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის (JAG), იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS), იურიდიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (LE), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (GBA) და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) მექანიზმების, არბიტრაჟისა და მედიაციის შესახებ. თითოეული ინსტიტუტისთვის კითხვები მომზადდა ოთხი მიმართულებით: მოცემული დაწესებულების სიღრმისეული ცოდნა; საინფორმაციო წყაროები მოცემული ინსტიტუტის შესახებ; მოცემული ინსტიტუტის საქმიანობის შეფასება; და ინსტიტუტის რეფორმის მნიშვნელობა სამართლიანი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის შექმნის თვალსაზრისით.

ინტერვიუს და გამოკითხვის შეკითხვები განსხვავებული იყო ბიზნესმენებისთვის. მათ დაუსვეს კითხვები კომერციულ დავებთან დაკავშირებულ საკითხებზე და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მოთხოვნაზე; ასევე, იმაზე, თუ როგორი იყო კმაყოფილების დონე სამართლებრივი კომპეტენციითა და განათლების სტანდარტით.

ანგარიშის მიზანია იმის გარკვევის ხელშეწყობა, თუ როგორ შეიცვალა (თუ შეიცვალა საერთოდ) ფართო საზოგადოებისა და მართლმსაჯულების დაწესებულებებთან შეხების მქონე პირების შეხედულებები სამწლიან პერიოდში (2011–2014). ამ მონაცემების შეგროვებით და აღრიცხვით ეს ანგარიში მიზნად ისახავს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს შევსებას და განვრცობას.

2. საზოგადოება: ნდობა, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და ცოდნა სასამართლოების შესახებ

ამ თავში წარმოდგენილია 2014 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგების ძირითადი მიგნებები, უმეტესად ფართო საზოგადოების მოსაზრებებზე დაყრდნობით. ეს თავი ასევე ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულად სასამართლოს მომხმარებლების ფოკუს ჯგუფებზე ისევე, როგორც იურისტებზე და ბიზნეს ლიდერებზე. ეს თავი დაყოფილია ოთხ ნაწილად: ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, წარმოდგენები მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ, შეხედულებები სამართლიანობისა და სისტემის ცოდნის დონეების შესახებ.


ნდობა

სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან შედარებით, ქართველებს კვლავაც დაბალი ნდობა აქვთ სასამართლოების, მოსამართლეების და პროკურორების მიმართ. ზოგადი გაუმჯობესება მართლმსაჯულების შესახებ წარმოდგენებში შეიმჩნევა 2011 წლის შემდეგ და ნაწილობრივ უკავშირდება ხელისუფლების ცვლილებას 2012 წლის ოქტომბერში. თუმცა, გარკვეული შეხედულებები მართლმსაჯულების შესახებ, მაგალითად ის, რომ ბევრი უდანაშაულო ადამიანი ისჯება, კვლავ უცვლელია.

ქართველები შედარებით უფრო კრიტიკულად აფასებენ სასამართლოს სისტემის საქმიანობას 2003 წლის ვარდების რევოლუციიდან 2012 წელს ხელისუფლების შეცვლამდე. ამ პერიოდში ბევრი რეფორმა განხორციელდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. მაშინ, როცა 2011 წელს რესპონდენტების 64%-მა აღნიშნა, რომ სასამართლოები „ბევრად უკეთესად“ ან „შედარებით უკეთესად“ მუშაობდა იმ პერიოდის რეფორმების გამო [ცხრილი 1], 2014 წლისთვის მხოლოდ 10%-მა შეაფასა სასამართლოების მუშაობა, როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი“ იმავე პერიოდში [ცხრილი 2]. შეიმჩნეოდა

გარკვეული დადებითი დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“, კერძოდ რესპონდენტების მხოლოდ 6% მიიჩნევდა, რომ სასამართლოები „შედარებით უარესად“ ან „ბევრად უარესად“ მუშაობდა და 46% ხედავდა გარკვეულ გაუმჯობესებას [ცხრილი 3, დიაგრამა 1]. ფოკუს ჯგუფებში კითხვის დასმისას ფართო საზოგადოება და სასამართლოს მომხმარებლები გამოხატავდნენ უფრო მეტ ნდობას სასამართლოს მიმართ და მას 2012 წლის ოქტომბერში მომხდარ ხელისუფლების ცვლილებას უკავშირებდნენ. იურისტები საუბრობდნენ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მაჩვენებლის ზრდაზე, რაც უფრო მეტ ნდობას აღძრავდა სამართლოს მიმართ.

დიაგრამა 1



აღნიშნული გაუმჯობესების მიუხედავად, კვლევა და ფოკუს ჯგუფების მონაცემები მიუთითებს, რომ ნდობა სასამართლოების, მოსამართლეებისა და პროკურორების მიმართ კვლავაც ძალზე დაბალია. მართლაც, არასამთავრობო ორგანიზაციების

გარდა, ყველა სხვა ინსტიტუტთან შედარებით, მართლმსაჯულების სისტემის ამ სამმა ელემენტმა ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო ნდობის საერთო დონის მიხედვით მრავალრიცხოვან პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს შორის. მაგალითად, რესპონდენტების მხოლოდ 35% ნაწილობრივ ან სრულად ენდობა პროკურორებს, ხოლო ნდობა მასწავლებლების და საპატრულო პოლიციის მიმართ 76% და 78%-ია [ცხრილი 4]. 2014 წლის შედეგები 2011 წლის შედეგების მსგავსია.

თუმცა, 2011 წლის შემდეგ ნდობა მცირედით გაიზარდა. 2014 წელს რესპონდენტების 37%-მა აღნიშნა, რომ „სრულად“ ან „ნაწილობრივ“ ენდობოდა სასამართლოებს. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა. [ცხრილი 4].

უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც 2011 წელს, ქუთაისში რესპონდენტები უფრო მეტად ენდობოდნენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას, სასამართლოებს და მოსამართლეებს, ვიდრე ბათუმში ან თბილისში. მაგალითად, ქუთაისის მცხოვრებლების 42%-მა აღნიშნა, რომ ისინი ენდობიან ან სრულიად ენდობიან სასამართლოებს მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ბათუმში იყო 33% და თბილისში 23% [ცხრილი 5]. ფართო

საზოგადოების ის წევრები, რომელთაც სასამართლოს სისტემასთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ (სასამართლოს მომხმარებლები), ფოკუს ჯგუფებში აზრის გამოხატვისას, ყველაზე ნაკლებად იყვნენ

„ნდობა გაიზარდა. შემთხვევების უმეტესობაში მოსამართლეს შეუძლია ობიექტური იყოს,“ – აღნიშნა ერთმა ადვოკატმა ქუთაისიდან.

დარწმუნებული, რომ სასამართლოების სანდოობა გაიზარდა. უმრავლესობამ ჩათვალა, რომ არაფერი შეცვლილა. ზოგიერთმა პრეტენზიაც კი გამოთქვა, რომ სისტემაში არ ჰქონდა ადგილი პერსონალის ცვლილებას.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე იურისტები შედარებით უფრო დადებითად განწყობილნი იყვნენ. ბევრი მონაწილის აზრით, იგრძნობოდა უკეთესობა. ზოგიერთმა ეს თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო პოლიტიკის შემსუბუქებას დაუკავშირა,

მოსამართლეებისთვის მეტი დისკრეციულობის მინიჭებას და გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის ზრდას. „ნდობა გაიზარდა. შემთხვევების უმეტესობაში მოსამართლეს შეუძლია ობიექტური იყოს,“ – აღნიშნა ერთმა ადვოკატმა ქუთაისიდან. თუმცა, თბილისელი მონაწილეები უფრო სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი აღნიშნული საკითხის მიმართ. ზოგადად, იურისტებს სჯეროდათ, რომ სასამართლოები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში უფრო მეტად იმსახურებდნენ ნდობას, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებში.

ფართო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მოსამართლეების შეფასება ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა კომპეტენტურობა, სამართლიანობა და ხალხის ინტერესების სამსახური მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა 2011 წლის შემდეგ. მსგავსი შედეგები იყო 2011 და 2014 წლების გამოკითხვებში იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ხშირად უშვებდნენ მოსამართლეები შეცდომას და საშუალებას აძლევდნენ დამნაშავეებს დაუსჯელად ევლოთ ან გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდათ უდანაშაულო ადამიანებისთვის. ისევე, როგორც 2011 წელს, რესპონდენტების დაახლოებით მეოთხედმა აღნიშნა, რომ უდანაშაულო ადამიანებს ხშირად ან ძალიან ხშირად სჯიდნენ საქართველოში [ცხრილი 6, ცხრილი 7].

იურისტები მეტად კრიტიკულები იყვნენ პროკურორების და გამომძიებლების ტრენინგის ნაკლებობისა და პროფესიონალიზმის სიმცირის გამო. „ნულოვანი დონეა,“ – აღნიშნავდა ერთი თბილისელი იურისტი.

ფართო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდგარმა ფოკუს ჯგუფებმა კიდევ უფრო მეტი ნათელი მოჰფინა მოსამართლეების ისევე, როგორც სასამართლო სისტემის, პროკურორების და სისხლის სამართლის საქმეების გამომძიებლების მიმართ არსებულ უნდობლობას. აღნიშნული სკეპტიციზმი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო თბილისში. ბათუმსა და ქუთაისში ზოგიერთი ფოკუს ჯგუფის წევრები აღნიშნავდნენ ნდობის უმნიშვნელო ზრდას სასამართლოების მიმართ. 43

წლის თბილისელმა ქალბატონმა ერთგვარად შეაჯამა ორმაგი დამოკიდებულების არსებობა, რასაც ბევრი გრძნობდა: „რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეიცვალა [სასამართლო], მაგრამ ვერ ვამბობ, რომ ბოლომდე იმიტომ, რომ ჯერ კიდევ დასალაგებელია ეს სიტუაცია ბევრი კუთხით. თვითონ სასამართლოში დასალაგებელია ბევრი რამ.“

მსგავსი მოსაზრებები გამოითქვა მოსამართლეებთან და პროკურორებთან დაკავშირებითაც: „შესაძლოა პროკურატურა ოდნავ შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ ვერ ვიტყვი რომ დიდ განსხვავებას ვხედავ; სიტუაცია თითქმის იგივეა რაც იყო,“ - აღნიშნა ერთმა თბილისელმა მამაკაცმა.

სასამართლოს მომხმარებლების აზრით, წინა რეჟიმის არასაკმარისი რაოდენობის წევრების გასამართლება სასამართლოზე კვლავ არსებულ ზეგავლენას ადასტურებდა. მეორეს მხრივ, იურისტები ამას უბრალოდ გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის ხარისხისა და გამოცდილების ნაკლებობით ხსნიდნენ.

სასამართლოს მომხმარებლები განსაკუთრებულად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ დადებით ცვლილებებს გამომძიებლებს და პროკურორებს შორის. იურისტებს შორის ადგილი ჰქონდა შეშფოთებას პროკურატურაში სამსახურში მიღების და ადამიანური კაპიტალის საკითხებთან, დაბალ ხელფასებთან და გენერალური პროკურორების მაღალ დენადობასთან დაკავშირებით. იურისტები მეტად კრიტიკულები იყვნენ პროკურორების და გამომძიებლების ტრენინგის ნაკლებობისა და პროფესიონალიზმის სიმცირის გამო. „ნულოვანი დონეა,“ - აღნიშნავდა ერთი თბილისელი იურისტი.

სასამართლოს სისტემის გამჭვირვალობის აღქმის თავალსაზრისით კვლევის მაჩვენებლების მიხედვით მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ჰქონდა ადგილი 2012 წლის არჩევნების შემდეგ. 2014 წელს რესპონდენტების მხოლოდ 13% დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ სასამართლოების მუშაობა გამჭვირვალე იყო 2012 წლამდე, 34% კი დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა იმ აზრს, რომ სასამართლოების გამჭვირვალე გახდა 2012 წლის ოქტომბრიდან [ცხრილი 8, ცხრილი


9]. ფოკუს ჯგუფებში იურისტები ასევე ამბობდნენ, რომ წვდომა სასამართლოებთან და სასამართლოს ინფორმაციასთან ადექვატური იყო.

დამოუკიდებლობა

ქართველები მიიჩნევენ, რომ მთავრობა და პროკურორები კვლავაც ახდენენ გავლენას მოსამართლეებზე; მიუხედავად ამისა, წარმოდგენა მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე მცირედით გაუმჯობესდა

მთავარმა შეკითხვამ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ რამდენიმე დადებითი ცვლილება გამოავლინა 2014 წელს; თუმცა, ისევ და ისევ მცირედი. 2011 წელს რესპონდენტების 28% დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები იყვნენ. ეს მაჩვენებელი 34%-მდე გაიზარდა 2014 წელს [ცხრილი 10, დიაგრამა 2]. მხოლოდ 3% დაეთანხმა სრულად მოსაზრებას, რომ მოსამართლეები საქართველოში ქრთამს იღებენ; 2011 წელს ეს მაჩვენებელი 7%-ს შეადგენდა [ცხრილი 11]. ამ მხრივ მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მათი პასუხები, ვისაც ჰქონდა ან არ ჰქონდა შეხება სასამართლოსთან. გამოკითხვის შედეგების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები ზოგადად ფიქრობდნენ, რომ მოსამართლეები ყველაზე მეტად მთავრობაზე იყვნენ დამოკიდებული, შემცირდა მათი რიცხვი, ვინც ეთანხმებოდა ან სრულად ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ მოსამართლეები მთავრობის ინტერესებს ემსახურებოდნენ. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 39%-ს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს 32%-მდე შემცირდა [ცხრილი 12].

დიაგრამა 2



თუმცა ფოკუს ჯგუფები გამოხატავენ უწყვეტ ცინიზმს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთ ფოკუს ჯგუფში, ქუთაისში, ათიდან მხოლოდ ორმა მონაწილემ გამოხატა პოზიცია, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები იყვნენ. რამდენიმე რესპონდენტმა თბილისსა და ქუთაისში მოსამართლეები „მარიონეტებს“ შეაძარა. „მოსამართლეები არასოდეს ყოფილან დამოუკიდებლები და არასოდეს იქნებიან“ - აღნიშნა ერთმა ქუთაისელმა მამაკაცმა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხშირად ახსენებდნენ, რომ ე.წ. პოლიტიკური სტრუქტურები გავლენას ახდენდნენ მოსამართლეებზე. ეს მოიცავდა სამთავრობო თანამდებობების პირებს; ბევრი კვალავ მოიხსენიებდა პრეზიდენტს, როგორც გავლენის მქონეს, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ საქართველოს პრეზიდენტს ახლა ძირითადად სიმბოლური როლი აკისრია; სხვები უბრალოდ აღნიშნავდნენ, „საქართველოს პირველი პირის“ გავლენას. სასამართლოს მომხმარებლები კიდევ უფრო სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი. თბილისში რამდენიმე ფოკუს ჯგუფის

მონაწილემ განაცხადა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობის წევრები კვლავაც ინარჩუნებდნენ გავლენას სისტემაზე. უფრო ზუსტად კი, სასამართლოს მომხმარებლების აზრით, წინა რეჟიმის არასაკმარისი რაოდენობის წევრების გასამართლება სასამართლოზე კვლავ არსებულ ზეგავლენას ადასტურებდა. მეორეს მხრივ, იურისტები ამას უბრალოდ გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის ხარისხისა და გამოცდილების ნაკლებობით ხსნიდნენ.

მონაწილეები რეგულარულად მიუთითებდნენ, რომ პროკურატურას გავლენა ჰქონდა მოსამართლეებზე, რაც 2011 წელს გამოთქმული მოსაზრებების მსგავსი იყო. ამას განსაკუთრებით აღინიშნავდნენ ისინი, ვისაც შეხება ჰქონდა სასამართლოსთან. „მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებებს იმის საფუძველზე, თუ რას ეტყვის მას პროკურორი“, - აღნიშნა სასამართლოს ერთმა მომხმარებელმა ბათუმიდან. ამგვარად, რთულია წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში გავრცელებული წარმოდგენის შეცვლა, რომ პროკურორებს რეალური ძალაუფლება აქვთ, სასამართლოში მაინც. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 6%-ის აზრით იყო პროკურატურა ის ინსტიტუტი, რომელზეც მოსამართლეები ყველაზე მეტად იყვნენ დამოკიდებული, იგი მაინც მესამე ყველაზე გავლენიან ინსტიტუტი რჩება მთავრობისა და უზენაესი სასამართლოს შემდეგ [ცხრილი 13]. უფრო მეტიც, ეს მაჩვენებელი 11%-მდე იზრდება მათ შემთხვევაში, ვისაც სასამართლოსთან რეალურად ჰქონდა შეხება [ცხრილი 14]. ისეთი წარმოდგენა რჩება, რომ მართლმსაჯულება საქართველოში ერთი სისტემის ნაწილია, სადაც მოსამართლეებს

მითითებები მთავრობისგან ეძლევათ პროკურორების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ იურისტები სისტემას არ განიხილავენ ასე ნეგატიურად, ისინიც კი აღნიშნავენ, რომ პროკურორები კვლავ ისეთ

„სანამ ერთი მოსამართლე არ დაისჯება იმ უკანონო განაჩენისთვის, რაც მან გამოიტანა. არაფერი არ გამოსწორდება,“ - აღნიშნავდა სასამართლოს მომხმარებელი თბილისიდან.

მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ, დაცვის მხარის ადვოკატებთან შედარებით, არაპროპორციულად მეტი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საქმეებზე.

ფართო საზოგადოებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მკაფიოდ აღნიშნავენ, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობის დონე დამოკიდებული იყო საქმის ტიპზე. შესაძლებელი იყო მოსამართლეების მიერ დამოუკიდებლობის გამოჩენა პოლიტიკური ინტერესების არარსებობის შემთხვევაში. მაგალითად, ერთმა ქუთაისელმა ახალგაზრდამ აღნიშნა: „მოსამართლეები სრულიად დამოუკიდებლები არიან ხულიგნობასა და მცირე დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში“. ხოლო ახალგაზრდა ბათუმელი აღნიშნავდა: „ჩვეულებრივ მოქალაქეს როცა ეხება, ვფიქრობ, არავინ განახორციელებს ზეწოლას მოსამართლეებზე.“ სასამართლოს ყველაზე მეტად კრიტიკული მომხმარებელი რესპონდენტებიც კი ასკვნიდნენ, რომ სამოქალაქო სამართლის საქმეებში სასამართლოები გაცილებით მეტად დამოუკიდებლები იყვნენ, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებში. მონაწილეების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მოსამართლეებზე ზეწოლა ხორციელდებოდა კომფორტული სამუშაო ადგილის დაკარგვის მუქარით. ბევრი მიიჩნევდა, რომ მოსამართლეები შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამთავრობო ბრძანებების შეუსრულებლობისთვის.

მთელი რიგი მოსაზრებები გამოითქვა, თუ როგორ უნდა ამაღლებულიყო მოსამართლეების დამოუკიდებლობა. ისინი, ვისაც ჰქონდა სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება, მოითხოვდნენ ანგარიშვალდებულების მეტი მექანიზმის შექმნას და სანქციების ფართო სპექტრის დაწესებას მიკერძოებული მოსამართლეებისთვის, სისხლის სამართლის სანქციების ჩათვლით. „სანამ ერთი მოსამართლე არ დაისჯება იმ უკანონო განაჩენისთვის, რაც მან გამოიტანა. არაფერი არ გამოსწორდება,“ - აღნიშნავდა სასამართლოს მომხმარებელი თბილისიდან. სხვები და განსაკუთრებით იურისტები ხაზს უსვამდნენ მოსამართლეების ტრენინგის, განათლების და შერჩევის პროცესის გაუმჯობესების აუცილებლობას. გამოითქვა ცვლილებებისა და უფრო მეტი ღიაობის მოთხოვნა საგამომიებო პროცედურებთან დაკავშირებით, რაც ადვოკატებს მისცემდა იმის შეფასების საშუალებას, თუ როგორ მოხდა მტკიცებულებების შეგროვება და უზრუნველყოფილი იქნებოდა სრული გამიჯვნა მთავრობასა და იუსტიციის

უმადლეს საბჭოს შორის. ზოგიერთი იურისტი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პრობლემას ხედავდა მოქმედი მოსამართლეების პროფესიულ დამოკიდებულებებსა და ფასეულობებში, რომელთა ცვლილებაც მარტივად შეუძლებელია.

სამართლიანობა


წარმოდგენა მოსამართლეების მიუკერძოებლობის შესახებ გაიზარდა, მაგრამ კვლავაც არსებობს შეხედულება, რომ სისტემა აგრძელებს ღარიბი მოსახლეობის დისკრიმინაციას; სხვა უმცირესობები შედარებით უფრო დაცულად განიხილებიან. საპროცესო შეთანხმება ახლა უფრო დადებითად ფასდება, ვიდრე 2011 წელს; ქართველებს კვლავაც სჯერათ, რომ ნაფიცი მსაჯულების სისტემის შემოღებას დადებითი გავლენა ექნება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობაზე.

გაიზარდა წარმოდგენა მოსამართლეების მიუკერძოებლობაზე კანონის გამოყენების თვალსაზრისით. 2011 წელს რესპონდენტების 52% დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საქართველოში ადამიანები თანასწორნი არიან კანონის წინაშე. ეს მაჩვენებელი 59%-მდე გაიზარდა 2014 წელს [ცხრილი 15, დიაგრამა 3]. დაახლოებით იგივე ნაწილმა (37%) აღნიშნა 2014 წლის გამოკითხვაში, რომ მოსამართლეები საქართველოში ძირითადად სამართლიანები იყვნენ. ეს მონაცემი 2011 წელს 35% იყო [ცხრილი 16].

კვლევამ აჩვენა ნდობის შედარებით მაღალი ხარისხი იმასთან დაკავშირებით, რომ ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებს სასამართლოებში სამართლიანი განხილვა ექნებოდათ: 65%-ის აზრით, ქართველის და არაქართველისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ერთნაირი შანსი არსებობს. მაგრამ ისევე, როგორც 2011 წელს, 11%-ს მიაჩნდა, რომ ქართველი ეროვნების ადამიანებს უფრო დიდი ალბათობით მიიჩნევდნენ დამნაშავედ [ცხრილი 17]. აღნიშნულთან დაკავშირებით, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ასევე თვლიდნენ,

რომ სასამართლოები მიკერძოებული იყვნენ უცხოელების და არაქართველი ეროვნების ადამიანების მიმართ უცხოეთის ზეგავლენის გამო. სასამართლოს ერთმა მომხმარებელმა აღნიშნა, რომ მან წააგო პროცესი უბრალოდ იმიტომ, რომ მეორე მხარე უცხოელი იყო: „ის უმცირესობები უკეთესად არიან დაცული [ვიდრე ქართველები], რადგან უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება და გრანტები სწორედ უმცირესობების საკითხებს ეხება“. იურისტებმა დარწმუნებით განაცხადეს, რომ უმცირესობები საქართველოში დაცული არიან ევროპული ნორმების შესაბამისად საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით.

დიაგრამა 3



ფოკუს ჯგუფის მონაწილე სამართლის ზოგიერთი სპეციალისტი აღნიშნავდა, რომ სექსუალური უმცირესობები სრულად არ არიან დაცული. როგორც ერთმა თბილისელმა ადვოკატმა აღნიშნა: „იგივე 17 მაისის ამებზე [2013 წელი, როცა სექსუალურ უმცირესობებს ფიზიკურად გაუსწორდნენ თბილისში] უფრო მკაცრი შეიძლება ყოფილიყო სასამართლო, რამდენიმე ადამიანი დაისაჯა მხოლოდ.“ კვლევის

მონაცემებმა აჩვენა, რომ 16%-ის აზრით, სხვა ერთნაირი მახასიათებლების შემთხვევაში, სექსუალურ უმცირესობებს უფრო მეტი ალბათობით მიიჩნევიდნენ დამნაშავედ სასამართლოში, ხოლო 64%-ს მიაჩნდა, რომ კანონი ერთნაირად განსჯიდა მათ [ცხრილი 18]. რამდენიმე ფოკუს ჯგუფში იურისტებმა ასევე წამოჭრეს სამართლიანობის საკითხი იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც შესაძლოა, არ ჰქონოდათ სათანადო დოკუმენტები და უნარშეზღუდულ ადამიანებთან დაკავშირებით, რომელთაც უჭირდათ წვდომა სასამართლოსთან.

გარდა ამისა, მოსახლეობის წარმოდგენით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მდიდარ და ღარიბ ადამიანებს ერთნაირად გაასამართლებენ. რესპონდენტთა 43%-ის თანახმად, უფრო მოსალოდნელია, რომ სასამართლომ ღარიბი სცნოს დამნაშავედ ყველა სხვა ერთნაირი მახასიათებლის პირობებში; მხოლოდ 49%-ს მიაჩნია, რომ მდიდარ და ღარიბ ადამიანებს ერთნაირი შანსი აქვთ, როგორც გამართლების, ისე დამნაშავედ ცნობის [ცხრილი 19]. ეს შედეგები 2011 წელს მიღებული შედეგების მსგავსია და მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაზე დამყარებული უსამართლობა კვლავაც პრობლემად რჩება.

გარკვეულწილად გაიზარდა დადებითი დამოკიდებულება საპროცესო შეთანხმების სამართლიანობის და მიზნის მიმართ. ეს წინააღმდეგობრივი პრაქტიკა, რომელიც 2004 წელს დაინერგა, ახლა შედარებით უფრო პოზიტიურად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ 67% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ეს პრაქტიკა 2012 წლამდე უბრალოდ ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას [ცხრილი 20], ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მხოლოდ 54%-ს აქვს ასეთი მოსაზრება [ცხრილი 21]. მიუხედავად იმისა, რომ

ქუთაისში, მაგალითად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ საპროცესო შეთანხმებამ შეასუსტა სამართლიანობა „ვაჭრობის“ სასარგებლოდ. 17-წლიანი პრაქტიკის მქონე სისხლის სამართლის ერთ-ერთი იურისტის თანახმად, „ეს [საპროცესო შეთანხმება] გახდა რაღაც მონსტრი, ურჩხული...“

მცირედით შეიცვალა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, ზრდის თუ არა საპროცესო შეთანხმება სისტემის სამართლიანობას (დაახლოებით 40% როგორც 2011 ისე 2014 წელს დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა, რომ ზრდის), გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც თვლიდა, რომ საპროცესო შეთანხმება მოპასუხისა და მისი ოჯახის ინტერესებში იყო (24% თვლიდა ასე 2014 წელს, ხოლო 18% 2011 წელს) [ცხრილი 22, ცხრილი 23]. იურისტები კვლავ კრიტიკული თვალთ უყურებდნენ ამ პრაქტიკას. ქუთაისში, მაგალითად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ საპროცესო

ისინიც კი, ვისაც სასამართლოსთან ჰქონდა შეხება და ყველაზე სკეპტიკურად იყო განწყობილი, დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდა ნაფიც მსაჯულთა სისტემის მიმართ: „მე ვთვლი, რომ ნაფიცი მსაჯულები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დამოუკიდებლობისათვის სასამართლო სისტემის,“ - აღნიშნა სასამართლოს ერთმა მომხმარებელმა ბათუმიდან.

შეთანხმებამ შეასუსტა სამართლიანობა „ვაჭრობის“ სასარგებლოდ. 17-წლიანი პრაქტიკის მქონე სისხლის სამართლის ერთ-ერთი იურისტის თანახმად „ჩვენთან ეს [საპროცესო შეთანხმება] გახდა რაღაც მონსტრი, ურჩხული... ამან საერთოდ მოსპო და დაბალ დონეზე არამართო ჩვენი [ადვოკატების] საქმიანობა, არამედ პროკურატურის, ხარისხობრივად დაბლა დაწია.“

რაც შეეხება ახლად დანერგილ, მაგრამ მაინც იშვიათად გამოყენებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ცვლილება უმნიშვნელო იყო 2011 წელთან შედარებით. ქართველების უმრავლესობა (65% 2011 წელს და 66% 2014 წელს) მიიჩნევდა, რომ ნაფიცი მსაჯულები ამაღლებდნენ სამართლიანობას და ნდობას მართლმსაჯულების მიმართ [ცხრილი 24, ცხრილი 25]. ისინიც კი, ვისაც სასამართლოსთან ჰქონდა შეხება და ყველაზე სკეპტიკურად იყო განწყობილი, დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდა ნაფიც მსაჯულთა სისტემის მიმართ: „მე ვთვლი, რომ ნაფიცი მსაჯულები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დამოუკიდებლობისათვის სასამართლო სისტემის,“ - აღნიშნა სასამართლოს ერთმა მომხმარებელმა ბათუმიდან.

ეს მიუთითებს, რომ ადგილი არ ჰქონია სისტემით იმედგაცრუებას მისი დანერგვის შემდეგ და შესაძლოა მან ხელი შეუწყო დამოკიდებულებების ცვლილებას.

ინფორმირებულობა და შეხედულებები მართლმსაჯულებისა და იურისტის პროფესიის შესახებ

მოსამართლის ან ადვოკატის პროფესია კვლავაც შედარებით პრესტიჟულად ითვლება. ინტერესი სასამართლო სისტემის მიმართ გაიზარდა. 2014 წელს რესპონდენტთა ნაკლებმა რაოდენობამ აირჩია პასუხი „არ ვიცი“ გამოკითხვის ყველა შეკითხვაზე, რაც მიანიშნებს მზარდ ექსპრესიულობაზე მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. თუმცა, ქართველებს კვლავაც აკლიათ მნიშვნელოვანი ცოდნა მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმის შესახებ; სამაგიეროდ, იზრდება ცოდნა უფასო იურიდიული დახმარების მომსახურების შესახებ.

ქართველები მოსამართლის პროფესიას კვლავაც მაღალ ხელფასს უკავშირებენ, ასევე სარგებელსა და კარგ პერსპექტივას. მოსახლეობის 22%-მა აღნიშნა, რომ მათთვის ამ სამი პროფესიიდან: მოსამართლე, ადვოკატი და პროკურორი, მოსამართლე იქნებოდა ყველაზე სასურველი შვილისთვის. შედარებით მეტი ადამიანი (37%) ამჯობინებდა, რომ მისი შვილი ყოფილიყო უფლებადამცველი ადვოკატი; მიიჩნევა, რომ ადვოკატებს შეუძლიათ სიკეთის კეთება [ცხრილი 26]. კვლევის ეს შედეგები მსგავსია 2011 წელს მიღებული შედეგებისა. თუმცა, კომფორტისა და ხელფასის მიუხედავად, ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების აზრი გაიყო იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მოსამართლეობა პრესტიჟული და პატივსაცემი პროფესია. სასამართლოს მომხმარებლები აღნიშნავენ: „ეს არ არის პრესტიჟული, მაგრამ კომფორტულია“. სასამართლოს მეორე თბილისელმა მომხმარებელმა უბრალოდ აღნიშნა, რომ ადვოკატები „ჯოჯოხეთის კარს აღებენ“. მიუხედავად ამისა, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც პირადად იცნობდნენ მოსამართლეებს, ხშირად დადებით სიტყვებს არ იშურებდნენ პიროვნულად მათ დასახასიათებლად.


2014 წელს ფართო საზოგადოების წარმომადგენლების 58% აღნიშნავდა, რომ მათ ყველაზე ხშირად სასამართლო ახსენდებათ, როდესაც საუბარია მართლმსაჯულების სისტემაზე. ეს მაჩვენებელი 2011 წელს 44%-ს შეადგენდა [ცხრილი 27]. შედარებით უფრო მცირე რაოდენობა მართლმსაჯულების სისტემას საპატრულო პოლიციას უკავშირებს. ეს მაჩვენებელი 21%-დან 13%-მდე შემცირდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეს ნაწილი საზოგადოების მიერ აღქმის თვალსაზრისით სულ უფრო მეტად აქცევს ყურადღებას, თუ რა ხდება სასამართლოებში. უფრო მეტიც, კითხვარში შემავალი ყველა კითხვის გასწვრივ მათი პროცენტული წილი, ვისი პასუხიც იყო „არ ვიცი“, 2014 წელს ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც მიუთითებდა უფრო დიდ ექსპრესიულობაზე საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, 2011 წელს 18%-მა უპასუხა „არ ვიცი“ მოსაზრებაზე, რომ ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში სამართლიანები არიან. ეს მაჩვენებელი 2014 წელს 11%-მდე შემცირდა [ცხრილი 16]. ეს ტენდენცია აღინიშნა კითხვების უმრავლესობასთან დაკავშირებით. სრულად გარკვეული არ არის, თუ რატომ გამოვლინდა ეს ტენდენცია ასე მკაფიოდ ყველა შეკითხვაზე, შესაძლოა ქართველები ახლანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში უფრო იოლად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, ვიდრე 2011 წელს.

ამასთან ერთად, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება იმით, თუ რა ხდება საქართველოს სასამართლოებში ახლა, ვიდრე სამი წლის წინ. 2014 წელს რესპონდენტების 43%-მა აღნიშნა, რომ დაინტერესებული ან ძალიან დაინტერესებული იყო იმით, თუ რა ხდებოდა სასამართლოებში; 2011 წელს ეს მაჩვენებელი 32%-ს შეადგენდა. [ცხრილი 28, დიაგრამა 4]. ასევე, მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის ინფორმირებულობა საპროცესო შეთანხმებასთან და ნაფიც

სასამართლოს თბილისელმა მომხმარებელმა უბრალოდ აღნიშნა, რომ ადვოკატები „ჯოჯოხეთის კარს აღებენ.“

მსაჯულთა სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. მაგალითად, 2011 წელს 59%-ს სმენოდა საპროცესო შეთანხმების შესახებ და ეს მაჩვენებელი 66%-მდე გაიზარდა 2014 წელს [ცხრილი 29]. და მაინც, ქართველებისთვის სასამართლოს დამოუკიდებლობა ისევ არ ითვლება ისეთივე ან იმაზე მნიშვნელოვნად, როგორც უმუშევრობა, სიღარიბე ან ტერიტორიული მთლიანობა. გასაკვირი არცაა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოთვლილი საკითხების უდიდესი მნიშვნელობის გამო 2011-დან 2014 წლამდე თითქმის იგივე დარჩა [ცხრილი 30].

დიაგრამა 4



მზარდი ინტერესისა და ექსპრესიულობის მიუხედავად, ქართველები კვლავაც არასათანადოდ არიან ინფორმირებული მართლმსაჯულების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის შემდეგ შემცირდა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც არასწორად პასუხობდა, რომ პრეზიდენტი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან რომ მას შეეძლო უზენაესი სასამართლოს დათხოვნა [ცხრილი 31], გაიზარდა იმ

რესპონდენტთა წილი, ვინც არასწორად აცხადებდა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არ შეეძლო სხვა სასამართლოების მიერ მიღებული განაჩენის გაუქმება (ეს მაჩვენებელი 20%-დან 2011 წელს გაიზარდა 29%-მდე 2014 წელს) [ცხრილი 32]. უფრო მეტიც, რესპონდენტების 40% მიიჩნევს, რომ პრემიერმინისტრს შეუძლია, დაითხოვოს უზენაესი სასამართლო და კიდევ 37%-მა ამ კითხვას გასცა უპასუხა „არ ვიცი“ [ცხრილი 33].

ასევე, ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი არცოდნა მართლმსაჯულების სისტემის საქმიანობასთან დაკავშირებით. ხშირად მონაწილეებს არ შეეძლოთ მოსამართლეების დანიშვნის და გათავისუფლების პროცესის ან პასუხისმგებლობის დადგომის ახსნა მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მოსამართლეებს პირადად იცნობდნენ. ბათუმში ერთ-ერთ ფოკუს ჯგუფში მხოლოდ ორმა მონაწილემ შეძლო მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული გარკვეული ინსტიტუტების, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იდენტიფიკაცია. თუმცა, მათ ვერ შეძლეს სხვა ინსტიტუტების, მაგალითად, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის დასახელება. აღნიშნულიდან გამონაკლისი იყო სასამართლოს მომხმარებლების ჯგუფი, რაც არ არის გასაკვირი. ფოკუს ჯგუფის მონაწევრები მიუთითებენ, რომ სასამართლოს მომხმარებლები საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებული მართლმსაჯულების ინსტიტუტებისა და პიროვნებების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სისხლის სამართლის ინსტიტუტებში, კონკრეტული მოსამართლეებისა და პროკურორების ჩათვლით.

რეფორმების ცოდნის თვალსაზრისით მონაწილეები ხშირად აცხადებდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ მიმდინარე რეფორმების შესახებ, მათ ზოგადად არ იცოდნენ დეტალები. ამის დასტურია ფოკუს ჯგუფი ქუთაისიდან, სადაც მხოლოდ ერთი მონაწილე საუბრობდა რეფორმების შესახებ: „მე მსმენია რეფორმის შესახებ, მაგრამ კონკრეტულად არაფერი ვიცი.“ შეიმჩნეოდა გარკვეული კონსენსუსი ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს შორის იმასთან

დაკავშირებით, რომ არსებობდა საკმარისი ინფორმაცია ტელევიზიით და მედიაში, მაგრამ ამ ადამიანებს არ გააჩნდათ დიდი ინტერესი სასამართლოების მიმართ. ამის ნაცვლად, ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საჭიროა სასამართლოების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა „ონლაინ“ რეჟიმში მათთვის, ვისაც ასეთ ინფორმაციასთან წვდომა სურს. მონაწილეებმა ასევე გამოხატეს ინტერესი უფრო გამჭვირვალე სასამართლოების მიმართ სასამართლო პროცესის პირდაპირი გადაცემის ჩათვლით: „რაც გახმაურებული საქმე როდესაც არის რაცა, ეს სასამართლო ნამდვილად მინდა, რო იყოს ტრანსლაცია, რომ ნახოს, თან იმ სასამართლოზე მტკიცებულება მჭირდება, უნდა ვნახო, უნდა ვიცოდე, აი, ამ მტკიცებულებების, აი, ამის საფუძველზე მიესაჯა ამას, აი, ამდენი, ამდენი, ამდენი,“ აღნიშნა ქალბატონმა ბათუმიდან. ინტერნეტი და ტელევიზია ხშირად იყო დასახელებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო სასამართლოებთან დაკავშირებით. ეს აისახა გამოკითხვის შედეგებშიც: რესპონდენტების 74%-მა დაასახელა ტელევიზია, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო სასამართლოების შესახებ 2014 წელს, ეს მაჩვენებელი აღემატებოდა 2011 წლის მაჩვენებელს, როცა ის 66%-ს შეადგენდა. [ცხრილი 34].

ერთი სფერო, რომლის შესახებაც საქართველოს მოსახლეობას მეტი ინფორმაცია აქვს, უფასო იურიდიული დახმარების სერვისია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული

რესპონდენტების 40% მიიჩნევს, რომ პრემიერმინისტრს შეუძლია, დაითხოვოს უზენაესი სასამართლო და კიდევ 37%-მა ამ კითხვას გასცა უპასუხა „არ ვიცი“.

იურიდიული დახმარებისთვის ინფორმირებულობის ეს ზრდა მხოლოდ მოკრძალებულია (57% 2014 წელს 53%-დან 2011 წელს), არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ მოსახლეობის ცოდნა 30%-დან (2011 წელს) 43%-მდე (2014 წელს) გაიზარდა [ცხრილი 35, ცხრილი 36]. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი იურიდიული დახმარება განიხილება, როგორც უფრო სასარგებლო რესპონდენტებისთვის: 43%-მა

აღნიშნა, რომ ის ძალიან ან ნაწილობრივ დაეხმარა, ხოლო 33% იგივეს ამბობდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დახმარების შესახებ. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2011 წლის შემდეგ [ცხრილი 37, ცხრილი 38]. ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ მონაწილეებს ზოგადად სმენიათ აღნიშნული სერვისების შესახებ. მაგალითად, მონაწილეთა უმრავლესობამ ორ სხვადასხვა ფოკუს ჯგუფში ქუთაისში შეძლო აღნიშნული მომსახურების შესახებ საუბარი და დაასახელა კიდევ კონკრეტული არასამთავრობო პროვაიდერი, კერძოდ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია/GYLA). თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გაურკვევლობას, თუ როგორ ფუნქციონირებდა ეს დახმარება რეალურად და ვისთვის იყო ის რეალურად გამიზნული.

3. იურისტები იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული მომსახურების მომწოდებლებისა და იურიდიული განათლების შესახებ

ამ თავში განვიხილავთ 2014 წელს სამართლებრივი ინსტიტუტების შესახებ იურისტებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და მათი გამოკითხვის შედეგებს, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და იურიდიული დახმარებისა და იურიდიული განათლების მომწოდებლების შესახებ. პასუხები ორ ფართო კატეგორიად დაიყო: ამ ორგანიზაციების შესახებ ცოდნის სიღრმე და მათი მუშაობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია ასევე ბიზნესმენების მოსაზრებებიც.

ცოდნა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

ყველაზე უკეთ იურისტები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და იურიდიული განათლების პროვაიდერებს იცნობენ; ნაკლებად იცნობენ იუსტიციის უმაღლეს სკოლას და კიდევ უფრო ნაკლებად საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას - მიიჩნევა, რომ ორივე მათგანი მედიაში ძალიან ნაკლებადაა გაშუქებული

ისევე, როგორც 2012 წელს, იურისტების გამოკითხვამ და ინტერვიუებმა სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით მსგავსი შედეგები გამოავლინა. იურისტები ყველაზე უკეთ იურიდიული განათლების მომწოდებლებსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას იცნობენ. მაგალითად, 2014 წელს რესპონდენტების 71%-მა განაცხადა, რომ ისინი ერკვევიან ან ძალიან კარგად

ერკვევიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობაში; 2012 წელს კი ასეთი რესპონდენტების წილი 77%-ს შეადგენდა [ცხრილი 39].¹

იურისტები ნაკლებად ერკვევიან იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ და სხვა სამართლებრივი დაწესებულებების საქმიანობაში. 2012 წლის მონაცემებთან შედარებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ ცოდნის დონეში მცირე ცვლილება შეინიშნება - რესპონდენტების დაახლოებით მესამედი ამ დაწესებულების საქმიანობაში ძალიან კარგად ან კარგად ერკვევა. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი იურისტი საფუძვლიანად იცნობს ამ სკოლას და მის პერსონალს.

რაც შეეხება საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას, რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც განაცხადეს რომ ვერ ან საერთოდ ვერ ერკვევიან მის საქმიანობაში, 61%-დან 29%-მდე შემცირდა 2014 წელს; 2011 წელთან შედარებით, რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც კარგად ან ძალიან კარგად ერკვევიან ასოციაციის საქმიანობაში 16%-დან 22%-მდე გაიზარდა.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ დაწესებულების შესახებ ინფორმირებულობის დონე იზრდება [ცხრილი 40]. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, სხვა ორგანიზაციებთან შედარებით, მათ რესპონდენტები ნაკლებად იცნობენ და მათ გაშუქებას მედიაში და მათ

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ 2012 წელს რესპონდენტების 30% აცხადებდა, რომ იგი არ შუქდებოდა ან საერთოდ არ შუქდებოდა ახალ მედიაში (ინტერნეტში); აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელს 61%-მდე გაიზარდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მედიის ამ საშუალებით იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის გამოკითხვასთან შედარებით, იურისტების და ბიზნესმენების გამოკითხვა ბევრად მცირე მასშტაბისაა. შესაბამისად, ასეთი მცირე განსხვავება დროთა განმავლობაში ნაკლებად მნიშვნელოვანია.

შესახებ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას პოზიტიურად არ აფასებენ. კერძოდ, აღსანიშნავია რესპონდენტების რიცხვი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ „არ იციან“ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის შესახებ. ასეთი პასუხები ინფორმაციაზე წვდომის არარსებობის, ცნობადობის დაბალი დონის და აქედან გამომდინარე ინფორმირებულობის დაბალი დონის მაჩვენებელია. მაგალითად, 2014 წელს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ახალ მედიაში გაშუქების შესახებ დასმულ კითხვაზე გამოკითხულთა 24%-მა განაცხადა „არ ვიცი“. მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 2012 წელს 8%-ს შეადგენდა; აღნიშნული ტენდენცია გამოიკვეთა სხვა კითხვებზე პასუხებსა [ცხრილი 41] და ინტერვიუებშიც. თვისებრივი ინტერვიუს რესპონდენტების ნახევარმა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდა. ერთმა მოქმედმა იურისტმა კი განაცხადა: „არც კი ვიცოდი, რომ მოსამართლეთა ასეთი კავშირი არსებობდა.“

გამოკითხვის და ინტერვიუების შედეგების მიხედვით, 2012-2014 წლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თვალსაჩინოების შესახებ მოსაზრება თანმიმდევრული იყო - სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან შედარებით მედიაში, განსაკუთრებით კი ახალ მედიაში, მისი გაშუქების დონე მაღალია. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას იშვიათად თუ დაინახავთ ტელევიზორში... მაგრამ, მას აქვს საკუთარი ვებგვერდი, სადაც ყველა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი,“ - განაცხადა მუშაობის 19 წლის სტაჟის მქონე იურისტმა. ამისგან განსხვავებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ 2012 წელს რესპონდენტების 30% აცხადებდა, რომ იგი არ შუქდებოდა ან საერთოდ არ შუქდებოდა ახალ მედიაში (ინტერნეტში); აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელს 61%-მდე გაიზარდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მედიის ამ საშუალებით იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი [ცხრილი 42]. როგორც ინტერვიუს ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა: „მოთხოვნის შემთხვევაში ზოგჯერ ვიღებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ ინფორმაციას, ზოგჯერ კი არა; სკოლა არ არის გამჭვირვალე“. თუმცა საგრძნობლად გაუმჯობესდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თვალსაჩინოების დონე ტრადიციულ მედიაში. 2012 წელს რესპონდენტების 51%-მა განაცხადა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია „არ შუქდებოდა“ ან „საერთოდ არ შუქდებოდა“ ტრადიციულ მედიაში; 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი 24%-მდე შემცირდა [ცხრილი 56].

საქმიანობის შეფასება: იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, იურიდიული მომსახურების მომწოდებლები და იურიდიული განათლება

იუსტიციის უმაღლესი სკოლა საკუთარ ფუნქციას შედარებით კარგად ასრულებს; მიიჩნევენ, რომ იგი ადრინდელთან შედარებით პოლიტიკურ ზეგავლენას ნაკლებად განიცდის. მისი საქმიანობის შესახებ უცოდინრობის დონე კვლავ მაღალია

2012 წელს იურისტები ძირითადად დადებითად აფასებდნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობას. მაგრამ, აშკარად ჩანდა, რომ ბევრი რესპონდენტი ნაკლებად ინფორმირებული იყო ამ დაწესებულების შიდა სამუშაო პროცესების შესახებ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გამოკითხვის დროს რესპონდენტების დიდმა პროცენტულმა მაჩვენებელმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის შესახებ დასმული კონკრეტული შეკითხვების პასუხად განაცხადა „არ ვიცი“ [ცხრილი 43, 44, 45]. ტრენერების ხარისხის შესახებ დასმულ შეკითხვებზე, კერძოდ, იყვნენ თუ არა ისინი საუკეთესო პროფესიონალები და მოხდა თუ არა მათი შერჩევა დიდი სიფრთხილით, რესპონდენტების სრულმა 39%-მა უპასუხა „არ ვიცი“, მაშინ, როცა აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს 31%-ს შეადგენდა [ცხრილი 43]. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეთათვის შეთავაზებული განგრძობითი განათლების დადებითი გავლენის შესახებ დასმულ შეკითხვაზე რესპონდენტების 46%-მა განაცხადა „არ ვიცი“ [ცხრილი 45].

ინტერვიუებში რესპონდენტები ძირითადად დადებით მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. განათლებისა და კვალიფიკაციის სტანდარტი რესპონდენტებმა დადებითად შეაფასეს. „მოსამართლეთა კვალიფიკაციის დონე საქართველოში კარგია და ეს იმის მაჩვენებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა კარგად მუშაობს,“ – განაცხადა ერთ–ერთმა რესპონდენტმა, რომელიც იურისტი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მუშაობის შესახებ უარყოფითი მოსაზრებებიც გამოითქვა, მაგრამ ძირითადად ისინი სკოლის შიდა სამუშაო პროცესებს ეხებოდა. მაგალითად, ზოგმა რესპონდენტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კურსები უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო ან უკეთესი ტრენინგების შერჩევა შეიძლებოდა. 2012 წლისგან განსხვავებით, 2014 წელს რესპონდენტებს არ აღუნიშნავთ, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მთავრობის გავლენის ქვეშ იყო. ანალოგიური შედეგები დაფიქსირდა გამოკითხვის შედეგადაც. თუ 2012 წელს რესპონდენტების მხოლოდ 3% პროცენტი სრულიად ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა თავისუფალი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან, ეს მაჩვენებელი 2014 წელს 27%-მდე გაიზარდა [ცხრილი 46]. ამ დადებითი ცვლილებების მიუხედავად, 2012

წლის მონაცემების ანალოგიურად, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა სკოლის მიერ მუშაობის გაუმჯობესება: ამ მოსაზრებას რესპონდენტების 34% იზიარებს [ცხრილი 47]. თუმცა, რესპონდენტების

2012 წლისგან განსხვავებით, 2014 წელს რესპონდენტებს არ აღუნიშნავთ, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მთავრობის გავლენის ქვეშ იყო.

მხოლოდ 27% მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლას „ძირეული ცვლილებები“ ესაჭიროება, რაც საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციასთან და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან დაკავშირებულ მონაცემთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია [ცხრილი 48].

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია კვლავ არააქტიურად მიიჩნევა; საგრძნობლად გაუმჯობესდა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მისი დამოუკიდებლობის მაჩვენებელი; „ერთობის“ დაარსება პოზიტიურად ფასდება

ისევე როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის შემთხვევაში, იურისტები საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას უკიდურესად მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებაში. თუმცა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის აქტიურობაში მხოლოდ მცირეოდენი დადებითი ცვლილებები შეინიშნება. 2012 წელს რესპონდენტების 57%-მა განაცხადა, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია არ იყო ან საერთოდ არ იყო აქტიური; ეს მაჩვენებელი 2014 წელს 39%-მდე შემცირდა [ცხრილი 49]. მაგრამ იმ რესპონდენტების პროცენტული წილი, რომლებმაც ამ კითხვაზე უპასუხეს „არ ვიცი“ 2012–2014 წლებში 15%-დან 27%-მდე გაიზარდა. მეტად დამაჯერებლად გაიზარდა იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან. კერძოდ, 2014

წელს რესპონდენტების 30% განაცხადა, რომ სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია დამოუკიდებელია მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 2012 წელს მხოლოდ 8%-ს შეადგენდა [ცხრილი 50, ცხრილი 51].

„ორივე ასოციაცია [საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია და „ერთობა“] კარგად მუშაობს და ცდილობს მოსამართლეთა პირობები გააუმჯობესოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახალი უფრო ეფექტიანია“, – განაცხადა ერთმა მოსამართლემ.

გაიზარდა ასევე იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებელია, თუმცა ნაკლებ დამაჯერებლად – 2014 წელს რესპონდენტების 14% სრულიად ეთანხმებოდა ან ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ საქართველოს მოსამართლეთა

ასოციაცია დამოუკიდებელი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან, 2012 წელს კი ასეთი რესპონდენტების წილი 8%-ს შეადგენდა.


იმ ინტერვიუებში, სადაც რესპონდენტებს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის შესახებ საუბრის საშუალება ჰქონდათ, მისი წევრი იურისტები აღნიშნავენ, რომ ეს ორგანიზაცია კარგად მუშაობს. ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ახალმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობამ“ დადებითი გავლენა იქონია, რადგან იგი მოსამართლეთა გარე ზემოქმედებისგან გათავისუფლების მიზნით შეიქმნა. „ორივე ასოციაცია [საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია და „ერთობა“] კარგად მუშაობს და ცდილობს მოსამართლეთა პირობები გააუმჯობესოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახალი უფრო ეფექტიანია“, – განაცხადა ერთმა მოსამართლემ. ისევე, როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის შემთხვევაში, 2012 წლისგან განსხვავებით, როდესაც რესპონდენტები მთავრობის გავლენასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ პრეტენზიებს, 2014 წელს ისინი ძირითადად საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის შიდა სამუშაო პროცესებით ან მისი ზოგადი ეფექტიანობის და ხარჯიანობის გამო იყვნენ უკმაყოფილო. ისევე, როგორც 2012 წელს, 2014 წელს რესპონდენტების დაახლოებით 50%-მა განაცხადა, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას „ძირეული გაუმჯობესება ესაჭიროება“ [ცხრილი 52].

მაღალი ქულებით შეფასდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამოუკიდებლობა, ლიდერობა, ტრენინგები და თვალსაჩინოების მზარდი ხარისხი. ჯერ კიდევ მიიჩნევა, რომ ორგანიზაციას ნაკლები გავლენა აქვს იურიდიულ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე და რომ იგი ძალიან ბევრ პირს აძლევს ორგანიზაციაში გაწევრიანების საშუალებას

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობის მქონე ორგანიზაციად მიიჩნევა, 2012 წლის შემდეგ ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამყარდა.

2014 წელს რესპონდენტების 91% დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალია. ეს მაჩვენებელი 2012 წელს 77%-ს შეადგენდა [ცხრილი 53, დიაგრამა 5]. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც 2012 წელს, რესპონდენტები კვლავ მიიჩნევენ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ჯერ კიდევ ნაკლები გავლენა აქვს საქართველოში იურიდიულ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე. მაგალითად, რესპონდენტების თითქმის ნახევარი (46%) არც ეთანხმება და არც უარყოფს განცხადებას, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გავლენას ახდენს იურიდიულ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე/ცვლილებებზე“ მაშინ, როცა აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს 28%-ს უტოლდებოდა [ცხრილი 54]. იმ რესპონდენტთა წილი კი, რომლებიც ამ მოსაზრებას დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა 2012–2014 წლებში 29%-დან 20%-მდე შემცირდა. 2012 და 2014 წლებში რესპონდენტებმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში რეფორმების გატარების საჭიროება თითქმის ერთნაირი ქულებით შეაფასეს – რესპონდენტების დაახლოებით მესამედმა განაცხადა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია „ძალიან საჭიროებს გაუმჯობესებას“ [ცხრილი 55].

დიაგრამა 5



მიუხედავად ამისა, ინტერვიუებმა ზოგადად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და ზოგიერთი მისი აქტივობის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გამოავლინა. 2012 წლის ინტერვიუებთან შედარებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ზაზა ხატიაშვილის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულება შეინიშნება. კვლავ გამოითქვა შეშფოთება, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია დროდადრო ძალიან განიცდის პოლიტიკურ ზეგავლენას, მაგრამ ზოგადად, რესპონდენტები ორგანიზაციის ხელმძღვანელს აქებდნენ დამოუკიდებლობისა და იურისტების დაცვის გამო. „ხატიაშვილი თანმიმდევრულია და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახეს წარმოადგენს,“ - განაცხადა ერთ-ერთმა იურისტმა. „საქართველოს იურისტთა ასოციაცია ისეთი დამოუკიდებელია, რომ სხვებს შერთ მისი,“ – განაცხადა სხვა იურისტმა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ შექება დაიმსახურა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ეთიკის კომისიის მუშაობის გამო. ორგანიზაციის მიერ გაწეული დადებითი სამუშაოების


აღნიშვნისას, რესპონდენტები 2012 წელთან შედარებით მეტად უსვამდნენ ხაზს ტრენინგებს, კონსულტაციებს და უწყვეტი განათლების ფარგლებში ჩატარებულ კურსებს, რომლებიც ხშირად გარე პროგრამების დახმარებით ტარდება, (მაგ.: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) დახმარებით). თუმცა 2012 წლის მსგავსად უარყოფითი მოსაზრება გამოითქვა საკანონმდებლო საქმიანობასა და კანონმდებლებზე მისი გავლენის შესახებ: „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ძალიან სუსტია, როდესაც იურიდიულ სფეროში რაიმე ცვლილებების განხორციელებასა და ამ ცვლილებების ადვოკატირებაზე მიდგება საქმე,“ – განაცხადა თექვსმეტი წლის სამუშაო გამოცდილების მქონე იურისტმა. ზოგადად, რესპონდენტები შემფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ადამიანებს ადვილად შეუძლიათ ადვოკატის ლიცენზიის მოპოვება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრად გახდომა, მათ შორის ყოფილ პროკურორებსა და გამომძიებლებს. ინტერვიუს დროს მთელმა რიგმა რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება უფრო ექსკლუზიურად და შეზღუდულად უნდა ხდებოდეს.

უფასო იურიდიული დახმარების სახელმწიფო და არასახელმწიფო მომწოდებლების დამოუკიდებლობის მაჩვენებელი გაუმჯობესდა; რესპონდენტები დადებითად აფასებენ იურიდიულ დახმარებას, მაგრამ კვლავ არსებობს კითხვის ნიშნები მის ხარისხთან დაკავშირებით. მომწოდებლების მუშაობის შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია

2012 წლის შემდეგ გაუმჯობესდა იურიდიული დახმარების როგორც სახელმწიფო ისე არასახელმწიფო მომწოდებლების მთავრობისგან დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება. 2012-2014 წლებში რესპონდენტების წილი, რომლებიც დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა განცხადებას, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული

იურიდიული დახმარება ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალია 13%-დან 32%-მდე გაიზარდა [ცხრილი 57]. 2012 წელს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს კომპეტენციის სფეროში შედიოდა, რამაც ამ დროს რესპონდენტებში ძლიერი უარყოფითი განწყობა გამოიწვია. შესაბამისად, გარკვეული სკეპტიციზმი ინტერვიუს მონაწილეთა შორის მაინც იგრძნობოდა. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, იურიდიული დახმარება „სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება, რადგან სახელმწიფოა ის, ვისგანაც ისინი გასამრჯელოს იღებენ“. იურიდიული დახმარების არასახელმწიფო მომწოდებლებიც 2014 წელს უფრო მეტად დამოუკიდებლად მიიჩნეოდნენ, ვიდრე 2012 წელს. 2014 წელს რესპონდენტების 86% დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა განცხადებას, რომ ისინი მთავრობისგან დამოუკიდებლები არიან, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2012 წელს 64%-ს შეადგენდა [ცხრილი 58, დიაგრამა 6].

დიაგრამა 6



იურიდიული დახმარების მიმართ გაუმჯობესებული დამოკიდებულება არ აისახა შემოთავაზებული სერვისების შეფასებაზე. როგორც ინტერვიუს მონაწილენი აღნიშნავდნენ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სერვისებთან დაკავშირებით, თვითონ ადვოკატები შესაძლოა „ძალიან კვალიფიციურები“ არიან და ხშირად „უზარმაზარ და ძალიან მძიმე სამუშაოს“ ასრულებენ, მაგრამ მათ ძალიან დიდი სამუშაო დატვირთვა აქვთ იმისათვის, რომ საკუთარ კლიენტებს კარგად მოემსახურონ, და სამუშაოს შესრულების სტიმულიც ყოველთვის არ აქვთ, რადგან დაბალ ხელფასებს იღებენ. 2012 წლის მსგავსად, რესპონდენტების მხოლოდ 31% დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა განცხადებას, რომ იურიდიული დახმარების სახელმწიფო პროვაიდერების იურისტების კომპეტენტურობის დონე მაღალია, [ცხრილი 59]. 2014 წელს, რესპონდენტების 42% არ დაეთანხმა ან საერთოდ არ დაეთანხმა განცხადებას, რომ ქვეყანაში სახელმწიფო იურიდიული დახმარების მაღალი სტანდარტებია. ეს მაჩვენებელი 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით,

საგრძნობლად არ შემცირებულა, როდესაც რესპონდენტების 49%-მა იგივე მოსაზრება გამოთქვა [ცხრილი 60].

ზუსტად ისევე, როგორც 2012 წელს, ინტერვიუს მონაწილეები ბევრად უფრო დადებითად აფასებდნენ არასახელმწიფო იურიდიული დახმარების მომწოდებლების მომსახურებას. როდესაც მათ სთხოვდნენ კონკრეტული ორგანიზაცია დაესახელებინათ, ინტერვიუს მონაწილეთა უმრავლესობა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ასახელებდა, ზოგიერთმა მათგანმა ასევე დაასახელა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. მათ დადებითად შეაფასეს იურისტების კვალიფიკაცია და ხელისუფლების ქმედებების მონიტორინგი. გამოითქვა გარკვეული სკეპტიციზმი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დამოუკიდებელი არიან დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები მათი დონორი ორგანიზაციებისგან, და როგორც ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა: „არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონსოლიდაციის ნაკლებობასთან“ დაკავშირებით. ზოგადად, იურისტები, მათ ვისაც იურიდიული მომსახურება ესაჭიროება ურჩევნ კერძო ადვოკატი დაიქირაონ. თუმცა, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებს კარგ ალტერნატიულ ვარიანტად მიიჩნევენ, იმ შემთხვევაში თუ მათ ფინანსურად არ შეუძლიათ კერძო ადვოკატის დაქირავება. „თუ ადამიანს ფინანსები აქვს, მან კერძო ადვოკატი უნდა აიყვანოს“; სხვა შემთხვევაში მე მას ვურჩევდი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართოს, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს“, განაცხადა სისხლის სამართლის ერთმა სპეციალისტმა.

იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა პრესტიჟულად და პერსპექტიულად მიიჩნევა, თუმცა, კვლავ ფიქრობენ, რომ იურიდიული განათლების ხარისხი ძალიან დაბალია; ისევე, როგორც 2012 წელს, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ახალ კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არ აქვთ

სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების რეფორმებთან შედარებით, იურიდიული განათლების სფეროს რეფორმა და მისი გაუმჯობესება სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვან პირობად მიიჩნევა. ეს შედეგი მიღებულ

„სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს საერთოდ არ შეუძლია მუშაობა და ყველაფერს ნულიდან იწყებს. სწავლების პროცესში მეტი პრაქტიკა უნდა შედიოდეს“, განაცხადა ცხრამეტი წლის სტაჟის მქონე იურისტმა.

იქნა, როგორც 2012 წელს ისე 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად. რესპონდენტების 80% მიიჩნევს, რომ იურიდიული განათლების სისტემის რეფორმა საჭიროა ან ძალიან საჭიროა სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რაც 2012 წლის მაჩვენებელს ოდნავ ჩამორჩება (87%) [ცხრილი 61]. შემცირდა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც სამართლის შესწავლას პერსპექტიულად მიიჩნევენ – რესპონდენტების წილი, რომლებიც ამ მოსაზრებას ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება 2012–2014 წლებში 93%-დან 70%-მდე შემცირდა [ცხრილი 62]. იურისტობა კვლავ შედარებით პრესტიჟულ პროფესიად მიიჩნევა – საზოგადოების აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2014 წელს 2012 წელთან შედარებით (67%) გაიზარდა იმ ადამიანთა პროცენტული წილი (71%), რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი თანახმა იქნებოდნენ მათი შვილი იურისტი გამოსულიყო [ცხრილი 63]. ერთი პოზიტიური მომენტი ის არის, რომ 2014 წელს რესპონდენტების მხოლოდ 46%-მა განაცხადა, რომ იურიდიული განათლების სფერო „ძალიან საჭიროებს გაუმჯობესებას“, რაც გაცილებით ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით (56%) [ცხრილი 64].

ისევე, როგორც 2012 წელს, ინტერვიუს მონაწილეებმა, როგორც იურისტებმა, ისე ბიზნესმენებმა, ხაზი გაუსვეს, რომ ამ ბოლო დროს ამ სფეროში ბევრი დადებითი ცვლილება განხორციელდა. თუმცა, მიიჩნევენ, რომ იურიდიული განათლების ზოგადი დონე საქართველოში ძალიან დაბალია. მათ მიერ გამოთქმული საერთო პრეტენზია იურიდიული განათლების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების

არქონას ეხება. ამის გამო იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს არ აქვთ მუშაობისთვის აუცილებელი უნარები. ანალოგიური საერთო პრეტენზია გამოითქვა 2012 წელსაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ საკითხში დიდი პროგრესი არ არის მიღწეული. „სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს საერთოდ არ შეუძლია მუშაობა და ყველაფერს ნულიდან იწყებს. სწავლების პროცესში მეტი პრაქტიკა უნდა შედიოდეს“, განაცხადა ცხრამეტი წლის სტაჟის მქონე იურისტმა. ბიზნესმენებიც აგრეთვე ფიქრობენ, რომ თეორია პრაქტიკასთან ერთობლიობაში უნდა ისწავლებოდეს და რომ საჭიროა მეტი ცოდნა სავაჭრო სამართალში.

4. ბიზნეს ლიდერები სასამართლოების, დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების და კომერციული სამართლის შესახებ

აღნიშნულ თავში განვიხილავთ 2014 წელს ჩატარებული ბიზნესმენების გამოკითხვის და ინტერვიუების შედეგებს დავების გადაჭრის ალტერნატიული ფორმების, ე.ი. საარბიტრაჟო სასამართლოების და მედიაციის შესახებ და შევადარებთ 2012 წლის შედეგებთან. ასევე წარმოგიდგენთ რესპონდენტების მოსაზრებას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ და სხვა პრობლემებზე, რომელსაც ქართული ბიზნესი აწყდება, და მათი ცოდნის დონეს სავაჭრო სამართალში. ზოგიერთ საკითხზე გამოკითხვა იურისტებს შორისაც ჩატარდა და შესაბამისად მათი პასუხების შესახებ არსებულ მონაცემებსაც შემოგთავაზებთ.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად მიიჩნევა იმ მრავალ პრობლემათაგან, რომელიც ხელს უშლის ბიზნესის წარმოებას საქართველოში; დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენენ ასევე სასამართლოს ქმედითობა და სავაჭრო სამართლის არცოდნა

ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით არსებული დაბრკოლებები, რომლებიც ბიზნესწრეების 38 წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, 2012 წლის კვლევის საფუძველზე დაფიქსირებული დაბრკოლებების ანალოგიურია. მსოფლიო ფინანსური კრიზისი აღარ უხსენებიათ, მაგრამ, გარე მოვლენებს, მაგ.: უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, შემფოთების მუდმივ წყაროდ ასახელებენ. 2012 წლის მსგავსად, რესპონდენტები ჩიოდნენ, რომ მიუხედავად უმუშევრობის მაღალი დონისა, კვალიფიციური მუშაკების მოძებნა რთულია, პრობლემურ საკითხად რჩება ასევე კრედიტების ხელმისაწვდომობა და პოლიტიკური არასტაბილურობა. ეს ყველაფერი საზიანო გავლენას ახდენს

ბიზნესმენების საქმიანობაზე. თითქმის თანაბრად გაიყო მოსაზრება მთავრობის შეცვლის შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. კერძოდ, რესპონდენტების დაახლოებით ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ 2012 წლის შემდეგ მთავრობა ნაკლებად ერევა მათ საქმიანობაში, მესამედმა - რომ არაფერი არ შეცვლილა და მესამედმა, რომ - ახლა მათ საქმიანობაში მთავრობა უფრო მეტად ერევა, თუმცა რესპონდენტების უმრავლესობას ეს ჩარევა საკუთარ საქმიანობაში არ უგრძნია.

ზოგადად დადებითი პასუხები დაფიქსირდა კითხვაზე რა გავლენა აქვს ხელისუფლებას ბიზნესზე კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის და ბიზნესის რეგულირების თვალსაზრისით. ბევრმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანაში კანონმდებლობა უმჯობესდება და საგადასახადო კანონმდებლობა, იმპორტის ტარიფები და რეგისტრაციის პროცედურები

ბიზნესის წარმოებას ხელს უწყობს. ზოგიერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა გააქტიუროს მუშაობა კანონმდებლობის მიმართულებით. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა მხოლოდ ერთხელ იყო ნახსენები, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს. ამის ნაცვლად, რესპონდენტები

„ჩვენი კომპანიის მსგავსი შედარებით მცირე კომპანიები პრობლემების მოგვარებას კერძო არხების და კომუნიკაციის საშუალებით ცდილობენ. სასამართლოში საქმის განხილვას თვეები და ბევრი ფული სჭირდება“, – აღნიშნა 24-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე ერთმა ბიზნესმენმა.

ფიქრობენ, რომ საკუთრების უფლებას უფრო მეტი დაცვა ესაჭიროება. გარდა ამისა, პრობლემად მიიჩნევა სავაჭრო სამართლის არცოდნა და სასამართლო პროცედურების ნელი ტემპი.


გამოკითხვის ფარგლებში მიღებულმა პასუხებმა კიდევ უფრო მეტი ნათელი მოჰფინა ამ პრობლემურ საკითხებს. შედარებით თანაბრად განაწილდა პასუხები სამოქალაქო

სასამართლოების ეფექტიანობის შესახებ დასმულ კითხვაზე. რესპონდენტების თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი – 31% – „არ იყო დარწმუნებული“ ან „საერთოდ არ იყო დარწმუნებული“, და „დარწმუნებული“ ან „სავსებით დარწმუნებული“ იყო, რომ სასამართლო პროცედურები ეფექტიანია. ეს შედეგი ძალიან წააგავს 2012 წლის შედეგს [ცხრილი 65]. ბიზნესწრეების წარმომადგენლები 2014 წელს უფრო დარწმუნებულები იყვნენ, რომ კომერციულ დავებს სამოქალაქო სასამართლოები სამართლიანად და მიუკერძოებლად განიხილავენ. მხოლოდ 18% არ იყო დარწმუნებული ან საერთოდ არ იყო დარწმუნებული, რომ საქმეს სამართლიანად განიხილავენ [ცხრილი 66]. რაც შეეხება სასამართლოს მიუკერძოებლობას, რესპონდენტების 24% არ იყო ამაში დარწმუნებული, ხოლო 44%-დარწმუნებული ან სავსებით დარწმუნებული იყო სასამართლოს მიუკერძოებლობაში [ცხრილი 67]. იურისტები იზიარებენ ბიზნესმენების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კომერციული დავები მიუკერძოებლად წყდება: რესპონდენტების 36% ამაში დარწმუნებული ან სავსებით დარწმუნებულია [ცხრილი 68].

ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით რესპონდენტები შედარებით კმაყოფილები არიან, მაგრამ როდესაც დავის ერთ–ერთ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით კვლავ სკეპტიკური დამოკიდებულება იჩენს თავს: „ერთხელ სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის რაღაც საქმე გავაკეთე...მათ არ გადამიხადეს. არ ვუჩივლე, რადგან ვიცოდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა,“ – განაცხადა მშენებლობის სფეროში მომუშავე ერთმა ბიზნესმენმა. თუმცა ზოგადად, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც რესპონდენტები სასამართლოს არ მიმართავენ, ხარჯები და ეფექტიანობაა. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სასამართლოსთვის მიმართვა უკიდურეს ზომას წარმოადგენდა. „ჩვენი კომპანიის მსგავსი შედარებით მცირე ზომის კომპანიები პრობლემების მოგვარებას კერძო არხების და კომუნიკაციის საშუალებით ცდილობენ. სასამართლოში საქმის განხილვას თვეები და ბევრი ფული

სჭირდება,“ - აღნიშნა 24-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე ერთმა ბიზნესმენმა. შესაძლოა, ამის გამო, რესპონდენტების მხოლოდ 26%-მა განაცხადა, რომ მათ აქვთ სურვილი ან ძალიან დიდი სურვილი მომავალი ბიზნეს დავა სასამართლოში განიხილონ (ეს მაჩვენებელი 2012 წელს 36%-ს უტოლდებოდა) [ცხრილი 69, დიაგრამა 7].

დიაგრამა 7



რაც შეეხება იურისტების მიერ სავაჭრო სამართლის ცოდნის დონით კმაყოფილებას, ბიზნესმენების მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი არ იყვნენ ან საერთოდ არ იყვნენ კმაყოფილი (19%, ისევე, როგორც 2012 წელს), 37% კი კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი იყო, თუმცა 2012 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა (46%) [ცხრილი 70]. იურისტები უფრო მეტად არიან დარწმუნებული, რომ იცნობენ კომერციულ სამართალს – რესპონდენტების 49%-მა განაცხადა, რომ ისინი

ძალიან კარგად ან კარგად ერკვევიან კომერციულ სამართალში [ცხრილი 71]. იურისტების მსგავსად, ბიზნესმენებმაც გამოთქვეს მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს უფრო მეტი პრაქტიკული მეცადინეობა და მეტი გაცვლითი პროგრამები ესაჭიროებათ იმისათვის, რომ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, იურიდიული კლინიკების და სტაჟირების საფუძველზე მეტი ცოდნა მიიღონ. ბიზნესმენებს სურთ, რომ იურისტები უკეთესად ერკვეოდნენ კომერციულ სამართალში და ეს შესაძლებელი უნდა იყოს, რადგან 2014 წელს იურისტების შედარებით მცირე ნაწილმა (17%) განაცხადა, რომ კომერციულ სამართალში სასწავლო კურსები არ არის ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი 2012 წელთან შედარებით (33%). [ცხრილი 72].

დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების შესახებ ინფორმირებულობის დონე იზრდება, მაგრამ კვლავ შედარებით დაბალია; დავების მოგვარების ალტერნატიულ ფორმებზე მზარდი მოთხოვნა არსებობს; სასამართლოსთვის მიმართვას ზოგადად დავების მოგვარების ალტერნატიულ ფორმებს ამჯობინებენ, მაგრამ მისადმი უნდობლობის დონე კვლავ დიდია

იურისტები დავების ალტერნატიული მოგვარების ფორმებს - არბიტრაჟს და მედიაციას - ბიზნეს ლიდერებზე უკეთ იცნობენ. მაგალითად, იურისტების 37% აცხადებს, რომ მედიაციაში ძალიან კარგად ერკვევა, მაშინ როცა ასეთი ბიზნესლიდერების წილი მხოლოდ 11%-ია [ცხრილი 73, ცხრილი 74]. განსხვავება დაფიქსირდა 2012 წელსაც, თუმცა ნაკლებად თვალსაჩინო - მაშინ იურისტების 23%-მა განაცხადა, რომ მედიაციას „საფუძვლიანად იცნობდა“, ასეთი ბიზნეს ლიდერების წილმა კი 14% შეადგინა. დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის მხრივ 2012 წელს დაფიქსირებული პრობლემა ბიზნესმენებში 2014 წელსაც გამოიკვეთა. იურისტების 34% მიიჩნევს, რომ დავების გადაჭრის ალტერნატიული ფორმების შესახებ ინფორმაცია „მეტად

ხელმისაწვდომია“ [ცხრილი 75], ასეთი ბიზნესმენების წილი კი მხოლოდ 21%-ს შეადგენს, რაც გაზრდილია 2012 წლის მონაცემთან შედარებით (16%) [ცხრილი 76]; ამავე დროს, ბიზნესის სფეროს წარმომადგენელ არცერთ რესპონდენტს არ უთქვამს, რომ ინფორმაცია დავების ალტერნატიული გადაჭრის ფორმების შესახებ ტრადიციულ მედიაში (ტელევიზია და ბეჭდური მედია) „ძალიან ხშირად შუქდებოდა“ [ცხრილი 77]. ინტერვიუების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტების უმრავლესობამ დავების გადაჭრის ალტერნატიული ფორმების შესახებ გადმოცემით ან სამუშაოდან იცის. „საქართველოში არბიტრაჟი არსებობს?“ – იკითხა ბიზნესის სფეროს წარმომადგენელმა ერთმა ქალბატონმა, რომელსაც მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს. „მე ვიცნობ არბიტრაჟს, მაგრამ მედიაციას არა. ინფორმაციის წყარო სხვების მონათხრობია, მეტი არაფერი“, - განაცხადა სხვა ბიზნესმენმა.

მიუხედავად იმისა, რომ დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების შესახებ ინფორმირებულობის დონე კვლავ დაბალია, რესპონდენტებმა, ისევე, როგორც 2012 წელს, აღნიშნეს, რომ მათზე მოთხოვნა არსებობს. როგორც ბიზნესმენებს, ისე იურისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტების წილი, რომელთა აზრით მედიაციაზე და არბიტრაჟზე „ძალიან დიდი მოთხოვნაა“ გაიზარდა. მაგალითად, 2014 წელს ბიზნესმენების 21%-მა განაცხადა, რომ არბიტრაჟზე ძალიან დიდი მოთხოვნა არსებობს, მაშინ, როცა მათი წილი 2012 წელს მხოლოდ 9%-ს შეადგენდა [ცხრილი 78]. ანალოგიური მისაზრება გამოთქვა იურისტების 17%-მა; მათი წილი 2012 წელს 10%-ს შეადგენდა [ცხრილი 79]. 2014 წელს ბიზნესმენების და იურისტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მედიაციაზე „ძალიან დიდი მოთხოვნაა“ 5%-დან 13% და 12%-მდე გაიზარდა შესაბამისად [ცხრილი 80, ცხრილი 81]. ინტერვიუში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ ურჩევნიათ არბიტრაჟს ან მედიაციას მიმართონ სასამართლოს ნაცვლად, მისი ეფექტიანობისა და ხარჯ ეფექტურობის გამო, განსაკუთრებით, როცა საქმე მცირე დავების გადაჭრას ეხება.

თუმცა, ისევე როგორც 2012 წელს, ინტერვიუების და გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა რომ დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების მიმართ კვლავ არსებობს უნდობლობა და მათ შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია, რაც მათზე მოთხოვნას ამცირებს. არსებობს რამდენიმე არგუმენტი დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების გამოყენების წინააღმდეგ: პირველი, კვლავ არსებობს კითხვის ნიშნები პოტენციური არბიტრების კომპეტენციის შესახებ, თუმცა მათ კომპეტენციისადმი რწმენის მაჩვენებელი 2012 წლის შემდეგ გაიზარდა (2014 წელს, რესპონდენტების 34% დარწმუნებული ან ძალიან დარწმუნებული იყო არბიტრების კომპეტენტურობაში, 2012 წელს კი ასეთი რესპონდენტების წილი მხოლოდ 16%-ს შეადგენდა) [ცხრილი 82]. მეორე, არსებობს გარკვეული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით თუ რა გზით შეიძლება

არბიტრების ან მედიატორების, როგორც „გარეშე პირების“ მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. მესამე, რესპონდენტები ნაკლებად ინფორმირებულობის გამო თავს იკავებენ მედიაციის ან არბიტრაჟის გამოყენებაზე. ერთმა ექვსწლიანი სამუშაო

„თუ არბიტრაჟი მიუკერძოებელია და სათანადოდ მუშაობს, ის პოპულარული გახდება“, - განაცხადა ერთ-ერთმა ბიზნესმენმა რესპონდენტმა.

გამოცდილების მქონე ბიზნესმენმა შემდეგი პასუხი გაგვცა: „მე რომ არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის მომიწიოს არჩევანის გაკეთება, სასამართლოს ავირჩევდი, რადგან არბიტრაჟის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ მაქვს“. მიუხედავად ამ უნდობლობისა, ზოგადად საქართველოში დავების მოგვარების ალტერნატიული ფორმების შესაძლებლობებზე დადებითი მოსაზრება გამოითქვა: „თუ არბიტრაჟი მიუკერძოებელია და სათანადოდ მუშაობს, ის პოპულარული გახდება“, - განაცხადა ერთ-ერთმა ბიზნესმენმა რესპონდენტმა.

ამ უნდობლობას იურისტებიც იზიარებენ, მაგრამ არბიტრაჟის მიმართ შედარებით უფრო ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენენ, ვიდრე მედიაციის მიმართ, განსაკუთრებით, არბიტრების შერჩევის მეთოდის და იმის გამო, რომ მოდავე

მხარეებს შორის არსებულმა უთანასწორობამ შესაძლოა მიკერძოებულობა განაპირობოს. მედიაში იხილი შედეგებით პოზიტიური აზრის არიან, თუმცა, აღიარებდნენ, რომ მის შესახებ მხოლოდ თეორიული ცოდნა აქვთ და გამოითქვა გარკვეული სკეპტიციზმი მისი პრაქტიკულად მუშაობის შესაძლებლობის შესახებ.

5. დასკვნა

2011 და 2012 წელს გამოქვეყნებულმა ანგარიშმა სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების, იურისტების და ბიზნესმენების დამოკიდებულების შესახებ საწყისი მონაცემები უზრუნველყო, რომელიც მოგვიანებით ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარეთ იმისათვის, რომ გამოგვევლინა რამდენად შეიცვალა ფართო საზოგადოების, იურისტებისა და ბიზნესმენების დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ 2012 წლის შემდეგ. იხ. ქვემოთ მოცემული დასკვნა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ სასამართლო სისტემა მზარდი ინტერესის და დაკვირვების საგანს წარმოადგენდა. ზოგადად, მის მიმართ ნდობის დონე და მისი დამოუკიდებლობის და სამართლიანობის ხარისხის შეფასება გაუმჯობესდა, თუმცა რიგ შემთხვევებში მხოლოდ ძალიან მცირე გაუმჯობესება შეინიშნება. ისევე, როგორც 2012 წელს, გამონაკლისს წარმოადგენენ რესპონდენტები, ვისაც სასამართლოსთან რეალურად მოუხდა ურთიერთობა. ისინი სისტემის შესახებ ყველაზე უარყოფითი აზრის არიან. თუმცა ინფორმირებულობის დონე სისხლის სამართლის სისტემის ფუნქციონირების და რეფორმების ხასიათის შესახებ საგრძნობლად დაბალია.

მცირე გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სასამართლო სისტემაზე უფრო დადებითი აზრის ჩამოყალიბების მიზნით. კერძოდ, პროკურორები და გამომძიებლები, როგორც კომპეტენტურობის დონის, ისე მოსამართლეებზე მათი მანკიერი გავლენის გამო, ჯერ კიდევ კრიტიკის საგანს წარმოადგენენ და მათთან დაკავშირებით დიდი ეჭვები არსებობს. თვითონ მოსამართლეები ჯერ კიდევ შორს არიან იმ აზრისგან, რომ მათ აქვთ საკუთარი ნება და დამოუკიდებლობა. ეს განსაკუთრებით ეხება სისხლის სამართლის საქმებს. გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა სადავო საკითხად რჩება და გადახედვას საჭიროებს. ისევე, როგორც 2012 წელს, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა სასამართლოში მიკერძოებულობის შესაძლო მიზეზად მიიჩნევა.

რაც შეეხება იურიდიულ დაწესებულებებს და იურისტებისა და ბიზნესმენების მიერ მათ შეფასებას, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გაუმჯობესდა მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული მომსახურების პროვაიდერების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის შესახებ. თუმცა, ბევრი რამ ისევე დარჩა, როგორც ეს 2012 წელს იყო. ხშირად თვითონ იურისტებმაც კი ცოტა რამ იცოდნენ იმ იურიდიული დაწესებულებების შესახებ, რომელთა თაობაზე მათ კითხვას უსვამდნენ. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია არააქტიური ორგანიზაციაა, თუმცა ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ დაარსება წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ გაიმყარა ლიდერის პოზიცია და გააუმჯობესა მუშაობა საქართველოში ეთიკის და იურიდიულ სფეროში უნარების განვითარების თვალსაზრისით, თუმცა ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა, გავლენა მოახდინოს საკანონმდებლო პროცესზე, ისევე, როგორც ეს 2012 წელს აღინიშნა. ადამიანები ახლა უფრო უკეთ იცნობენ იურიდიული დახმარების სფეროს ვიდრე 2012 წელს. იურიდიული მომსახურების სახელმწიფო პროვაიდერები შედარებით მეტად დამოუკიდებლად მიიჩნევიან და არასახელმწიფო იურიდიული მომსახურების პროვაიდერებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს მათ მიერ გაწეული სამუშაოსა და დამოუკიდებლობის გამო, განსაკუთრებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. იურიდიული განათლების სფერო ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. 2014 წელს ისევე, როგორც 2012 წელს, გამოითქვა უკმაყოფილება, იმის გამო, რომ აქცენტი კეთდება რაოდენობაზე და არა ხარისხზე, და ასევე პრაქტიკული გამოცდილების მქონე კურსდამთავრებულების ნაკლებობის გამო.

რაც შეეხება ბიზნესმენების გამოკითხვას, 2014 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, გაიზარდა იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ფიქრობენ რომ საქართველოში დავების გადაჭრის ალტერნატიულ ფორმებზე მოთხოვნა არსებობს, აგრეთვე მათი წილი, ვინც დადებითად აფასებს მათ პოტენციურ გავლენას, ძირითადად საქართველოს სასამართლოების არაეფექტიანობისა და სასამართლოსთან დაკავშირებული მაღალი ხარჯების გამო. თუმცა 2012 წლის მსგავსად, არსებობს კითხვის ნიშნები არბიტრების კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობასთან და მედიაციის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია აგრეთვე ბიზნეს საზოგადოების არასათანადო ცოდნა და ინფორმირებულობა, რის გამოც ეჭვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალურად შეიძლება დავების გადაჭრის ალტერნატიული ფორმები სასამართლო სისტემის ალტერნატივად მივიჩნიოთ.

დანართი 1 - ცხრილები

ცხრილი 1

თქვენი აზრით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ამჟამად ქართული სასამართლოები ... (%)

	2011
ბევრად უკეთესად მუშაობენ	18
შედარებით უკეთესად მუშაობენ	46
ისევე მუშაობენ	13
შედარებით უარესად მუშაობენ	5
ბევრად უარესად მუშაობენ	2
არ ვიცი	17
უარი პასუხზე	0

ცხრილი 2

თქვენი აზრით, როგორ მუშაობდნენ ქართული სასამართლოები 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდში? (%)

	2014
ძალიან კარგად	1
კარგად	9
საშუალოდ	37
ცუდად	27
ძალიან ცუდად	12
არ ვიცი	14
უარი პასუხზე	0

ცხრილი 3

თქვენი აზრით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქართული სასამართლოები...? (%)

	2014
ბევრად უკეთესად მუშაობენ	5
შედარებით უკეთესად მუშაობენ	41
ისევე მუშაობენ	31
შედარებით უარესად მუშაობენ	5
ბევრად უარესად მუშაობენ	1
არ ვიცი	16
უარი პასუხზე	1

ცხრილი 4

რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს...? (%)

		სრულად ვენდობი	4	3	2	საერთოდ არ ვენდობი	არ მიესადაგება	არ ვიცი	უარი პასუხზე
თქვენი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს	2014	84	8	4	1	1	0	2	0
	2011	84	6	4	1	1	1	3	1
ჯარს	2014	66	16	11	2	1	0	3	0
	2011	63	16	12	2	3	0	4	0
საპატრულო პოლიციას	2014	53	25	14	2	4	0	2	0
	2011	53	22	13	3	5	0	3	0
მასწავლებლებს	2014	55	21	16	3	3	0	3	0
	2011	50	22	16	4	3	0	4	0
პოლიციას	2014	39	27	19	4	6		4	0
	2011	42	18	20	4	9	0	5	1
ექიმებს	2014	37	25	24	7	7	0	2	0
	2011	33	22	26	7	9	0	3	0
პრემიერმინისტრს*	2014	31	24	22	4	9	0	9	1
ტელეჟურნალისტებს	2014	27	26	28	7	6	0	6	0
	2011	25	18	30	8	10	1	7	1
პრეზიდენტს	2014	30	22	21	5	11	0	9	1
	2011	42	16	19	4	13	0	4	1
ევროკავშირს	2014	26	20	22	5	10	2	15	0
	2011	23	13	20	5	10	4	24	1
ომბუდსმენს	2014	23	22	25	6	7	3	14	0
	2011	27	17	19	5	7	3	22	1
ნატოს	2014	27	18	21	4	11	2	16	0
	2011	26	11	19	5	11	3	23	1
გაეროს	2014	24	19	22	5	10	3	17	0
	2011	22	12	20	6	11	4	25	1
მინისტრებს*	2014	18	24	30	7	11	0	10	1
პრემიერმინისტრს და მინისტრებს*	2011	16	14	24	9	18	1	16	2
ბანკებს	2014	22	17	24	9	20	1	7	1
	2011	31	16	20	6	14	1	12	0
პარლამენტს	2014	17	20	32	8	13	0	8	1
	2011	17	14	26	9	20	1	12	2
სასამართლოებს	2014	15	22	30	9	12	1	12	1
	2011	17	15	24	7	17	1	17	2

		სრულად ვენდობი	4	3	2	საერთოდ არ ვენდობი	არ მიესადაგება	არ ვიცი	უარი პასუხზე
მოსამართლეებს	2014	16	20	29	8	12	1	13	0
	2011	17	15	22	7	17	2	19	1
პროკურორებს	2014	16	19	29	8	13	1	13	1
	2011	17	13	22	8	17	1	20	2
არასამთავრობო ორგანიზაციებს	2014	14	16	27	8	11	4	19	0
	2011	9	11	23	8	14	5	29	1

*2011 წელს პრემიერმინისტრი და მინისტრები შეფასდნენ ერთობლივად, მაგრამ 2014 წელს მათი შეფასება ცალ-ცალკე განხორციელდა.

ცხრილი 5

გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა სასამართლოების მიმართ დასახლების ტიპის მიხედვით (% , 2014)

	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
სრულად ვენდობი	7	12	14	12	21
4	16	21	28	20	24
3	35	26	32	31	26
2	14	6	10	7	6
საერთოდ არ ვენდობი	17	15	9	13	8
არ მიესადაგება	1	1	0	1	1
არ ვიცი	9	18	7	14	12
უარი პასუხზე	0	0	0	1	1

ცხრილი 6

რამდენად ხშირად რჩება დამნაშავე დაუსჯელი მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად? (%)

	2014	2011
ყოველთვის	5	5
4	18	13
3	31	29
2	16	11
არასოდეს	10	13
არ ვიცი	20	27
უარი პასუხზე	0	1

ცხრილი 7

რამდენად ხშირად ისჯება უდანაშაულო ადამიანი მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად? (%)

	2014	2011
ყოველთვის	7	9
4	19	15
3	29	28
2	15	12
არასოდეს	10	9
არ ვიცი	20	25
უარი პასუხზე	1	1

ცხრილი 8

